572
1960

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# დილა

„აყვავდი, ტურფა ქვეყანავ,
ილხინე, ივერთ მხარეო,
და შენც, ქართველო, სწავლითა
სამშობლო გაახარეო!“

№ 5

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და
ვ. ი. ლენინის სახელობის ნორჩ პიონერთა
ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ჟურნალი

მაისი
1960

ნახატი გ. ტოინიშვილისა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# 1 მაისი

გ. ქუჩიშვილი

დღეს პირველი მაისია
და პირველი გაზაფხული,
წითელ-წითელ ყვავილებით
მორთული და მოკაზმული.

დღეს უქმეა, შრომის უქმე,
ბრწყინვალე და დიდებული:
მოდის ხალხი, მოგუგუნებს
ერთ დროშის ქვეშ დარაზმული.

გაუმარჯოს პირველ მაისს,
გაუმარჯოს ჩვენს ერთობას,
გაუმარჯოს ხალხთა შორის
მტკიცე კავშირს, მტკიცე ძმობას.

1908 წ.



# წითელი ყელსახვევი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვ. ცერცვაძე                ნახატები გ. თოთიბაძისა

8010



იმ დღეს ძალიან გახარებული დავბრუნდი სკოლიდან.

— ხუთიანი მიიღე?—მკითხა ბებომ და სათვალიდან გადმომხედა.

— არა, ბებო, პიონერად უნდა მიმიღონ.

— ოჰო, უკვე დიდი ბიჭი გამხდარხარ. როდის?

— 19 მაისს. ნატო ხელმძღვანელმა თქვა: ამ დღეს პიონერთა დღესასწაულიაო.

ჩემი საბავშვო კალენდარი გადავშალე. მართლაც, 19 მაისი წითლად იყო აღნიშნული და ეწერა: „ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის დაბადების დღე“.

კალენდარი ბებოსაც ვაჩვენე. ბებო დიდხანს დაჰყურებდა კალენდარს, მერე წამოდგა, ძველი კამოდის ზემო უჯრა, რომელიც მუდამ დაკეტილი ჰქონდა, გასაღებით გააღო, იქიდან დაკეცილი წითელი ყელსახვევი ამოიღო და მითხრა:

— ეს ძია ანდროს ყელსახვევია. როცა პიონერი გახდები, გაიკეთე და მის სახსოვრად ატარე.—ძია ანდრო ბებოს უფროსი შვილი იყო, ომში დაიღუპა.

ნატო ხელმძღვანელს ჩვენთვის ახალთ-ახალი ყელსახვევები ჰქონდა მომზადებული, ეს კი ცოტა გახუნებული იყო, მაგრამ ბებოს როგორ ვეტყოდი! მერე ბებომ უჯრიდან პატარა ბლოკნოტიც ამოიღო.



საჯარო ბიბლიოთეკა



— აი, ესეც შენ გქონდეს, ძია ანდროს სახსოვრად.

ბლოკნოტი ცარიელი მეგონა და გამეხარდა. მაგრამ, რომ გადავშალე, რა არ ეწერა შიგ! წაკითხულ წიგნებზე, თეატრზე, კინოზე, პიონერზე და წითელ ყელსახვევზეც. ეს ხომ მეც უნდა ვიცოდე-მეთქი,—გავიფიქრე, სუფთა ქაღალდზე გადავწერე და ჩემს კუთხეში გავაკარი.

„სიტყვა „პიონერი“ ნიშნავს პირველს, მოწინავეს, რომელიც წინ მიდის და სხვას უკაფავს გზას, რომელიც ჰქმნის ახალს, სასარგებლოს ადამიანებისათვის“.

„წითელი ყელსახვევი რევოლუციური წითელი დროშის ნაწილია. ყელსახვევის სამი ბოლო სამი თაობის—კომუნისტების, კომკავშირლებისა და პიონერების ურღვევი კავშირის ნიშანია“.

მეორე დღეს ნატო ხელმძღვანელს ვუთხარი: ბებომ ძია ანდროს ყელსახვევი მაჩუქა-მეთქი. ძია ანდროს ჩვენს სკოლაში ყველა იცნობს. აქ სწავლობდა და მისი სურათი დაბლა სართულში შესასვლელთან ჰკიდია.

— ეს დიდი პატივია, ძია ანდროს ყელსახვევი რომ გაიკეთო, — მითხრა ხელმძღვანელმა,—თუ მასავით სამაგალითო მოსწავლე, ჭკვიანი და ყოჩაღი ბიჭი იქნები, 19 მაისს უსათუოდ იმ ყელსახვევს დაგიბნევთ გულზე.

შინ მიმავალი ძია ანდროს ყელსახვევზე ვფიქრობდი. უცებ მომაგონდა, ციცინოს რომ ვუკარნახე, თუმცა მასწავლეფელს არ გაუგია... მერე გუშინდელი ამბავიც გამახსენდა, თემური პირველკლასელ ბიჭს რომ ატირებდა და მე კი არ გამოვექომაგე. არა, ძია ანდროსავით ყოჩაღი უნდა გავხდე და კარნახსაც გადავეჩვიო... 19 მაისამდე კიდევ ერთი თვეა.

შინ რომ მივედი, მაშინვე ყელსახვევი ამოვიღე. დავხედე, გახუნებული აღარ მომეჩვენა, პირიქით, ძალიანაც მომეწონა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ჩაი



ილია სიხარულიძე

ტკბილი ჩაი ხომ გიყვართ,
რომ მოგართმევთ მზად დედა?
იცით, ჩაი რა არის,
სად მოდის, სად მზადდება?
ჩაის პლანტაციები
თუ არა გაქვთ ნახული,
უნდა ნახოთ უთუოდ,
რომ დადგება ზაფხული.

მერე და პლანტაცია,
იცით, რა წარმტაცია?!
ბუჩქებს ზამთარ-ზაფხული
მწვანე ჯუბა აცვია.



ჩაი ბუჩქად იზრდება,
არც ბალახი, არც ხეა;
ჩაის მწვანე ფოთლები
ამგვარ ბუჩქებს ასხია.
დაბალია ბუჩქები,
პაწიებიც შესწვდებით;
ჩაის ფოთლებს თქვენც მოკრეფთ,
თუ ძალიან ეცდებით.
მაგრამ ჩაის კრეფაში
ქართველ ქალთა სადარი,
მათი მსგავსი და სწორი
ვინ იქნება, სად არის?
ჩაის უხვი მოსავლით
ხარობს ჩაის ფაბრიკა,
გვთხოვს: „ფოთლები ჩქარ-ჩქარა
მომაწოდეთ, არიქა!“
იქ კი ფოთლებისაგან
ჩვენი ჩაი მზადდება...
აი, ჩაი რა არის,
რომ მოგართმევთ მზად დედა!

ნახატი ჯ. ლოლუასი



# რეზო და გივი

გ. ჭეიშვილი

ნახატები დ. ხახუტაშვილისა

## ითვლება!

წითელი ბურთი შუა მინდორში დადეს.

ბურთი ძმებმა, ნუგზარმა და მიტომ გამოიტანეს და კაპიტნებიც ისინი არიან. მე, თამაზი, გოგი და ოთარი მოთამაშეები ვართ. ნუგზარს ხელად გოგი, ოთარი მოუდგნენ, მიტოს მე და თამაზმა გადავჰხვიეთ ხელი.

შემდეგ დავთქვით:

— ორამდე ვითამაშოთ...

— როგორ ორამდე?—იკითხა გოგიმ.

— ორ ბურთს ვინც მალე გაიტანს.

— კარგი!—ყველანი დავთანხმდით.

კაპიტნებმა ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს და უცბად მოაგონდათ:

— ბიჭებო, მსაჯი ვინ იქნება?

— რეზო იქნება მსაჯი!—წამოვიძახე მე,—სასტვენიც ხომ რეზოს აქვს!..



ეროვნული ბიბლიოთეკა

# სკოლის ჭიშკარი

ხვალ ჩვენთვის სულ სხვა დღეა... ხვალ პირველად წავალთ სკოლაში. ოჰ, როდის გათენდება!

ჯერ კი ისევ შუადღეა და საშინლად ცხელა.

პაპა მანუჩარი გაზეთს ინიავებს და დადის ოთახიდან ოთახში. ბოლოს სამზარეულოდან გვესმის მისი ძახილი:

— ბიჭებო, აქ მოდით!

მივირბინეთ. პაპამ ლიმონათის ცარიელი ბოთლები მაგიდაზე ჩაამწკრივა.

— აბა ჩქარა! ვინ მოასწრებს დათვლას!

— ხუთი!..—ორივემ ერთხმად შევძახეთ.

— ყოჩაღ!—გაიღიმა პაპამ,—ახლა ჩაირბინეთ მაღაზიაში და ცივ-ცივი ლიმონათები ამოიტანეთ!

ბოთლები კალათში ჩავაყირავეთ და კიბეზე დავეშვით.

მაღაზიაში შესვენებაა... ვიჭვრიტეთ, ვიწრიალეთ ვიტრინასთან, მაგრამ შესვენების დროს აბა ვინ გაგვიღებს კარს.

— იცი რა?—წავჩურჩულე მე,—მოდი, ჩვენი სკოლა ვნახოთ!

სკოლა იქვეა, ჩასახვევში, წინათ მხოლოდ ავტობუსიდან გვინახავს, შიგ არასოდეს ვყოფილვართ.

აი, სკოლაც. სკოლის შენობა თეთრია და ოთხსართულიანი. ეზოც დიდი აქვს. ნაძვები, მსხლები, ვაშლები და უამრავი ფერადფერადი ყვავილებია დარგული. ეზოს შესასვლელში დიდი, მწვანედ შეღებილი ჭიშკარია ჩამოკიდებული. ყველაფერი ახალივით კრიალებს.

ხვალ პაპა მანუჩარი ჭრიი-ჭრაა, ჭრიიჭრაა!—გამოაჭრიალებს ჭიშკარს და ჩვენც სკოლის ეზოში შევალთ, მერე ამ მაღალ კიბეს ავყვებით.

სკოლის ეზოში დიდი ბიჭები ბურთს თამაშობენ.

— შეხედე, გივი, შოთამ გაიტანა ბურთი,—უცბად წამოიყვირა რეზომ.

მეც მაშინვე ვიცანი ჩვენი მეზობელი.

მოვიყვანეთ რეზო. სასტვენის განათხოვრება არ შეიძლება და ამიტომ ვერც სხვა იქნება მსაჯი. რეზომ ბურთი ფეხით გაასწორა, კაპიტნები დაარიგა, მოთამაშეები გაგვაფრთხილა, წესრიგის დარღვევა არ იყოსო, და დაუსტვინა...

დავფაცურდით. გავრბივართ, გამორბიან, გვიტევენ, ვუტევთ... გუნდებმა თითო ბურთი უკვე გავიტანეთ. ახლა ნუგზარის მხარეს არის მეტი დაწოლა. უცბად მიტომ მეკარე მოატყუა და მეორე ბურთიც შეაგორა. მაგრამ გამწარებულმა ნუგზარმა მსაჯთან მიირბინა და რაღაც წასჩურჩულა... რეზომ უკან დაიხია, სასტვენი პირიდან მოიგლიჯა.

— რად მინდა შენი ვაშლი და ბალი!—თქვა და მტკიცედ შესძახა:—ითვლება, ითვლება!

ეროვნული ბიბლიოთეკა



— რა კარგად თამაშობს არა შოთა?— კმაყოფილი რეზო თავს აქნევს. მერე სკოლის კედლებს, პრიალა ფანჯრებს აკვირდება და განაგრძობს:

— ნეტავ ჩვენი კლასი რომელ სართულზე იქნება?

— პირველზე!—ვუთხარი მე.

— საიდან იცი?

— ვიცი, პაპამ თქვა.

ამ დროს დიდმა ბიჭებმა თამაში მოათავეს და ქუჩაში გამოვიდნენ. ყველაზე ბოლოს შოთა გამოვიდა. მან ჭიშკარს წიხლი ჰკრა და ამაყად გადმოაბიჯა. ჭიშკარი ჭრიალით მიეხეთქა ლობეს და უცბად მის პრიალა სვეტებზე შოთას ფეხსაცმლის ანაბეჭდი დავინახეთ.

ორივე შევკრთით და გულდაწყვეტილები უკან გამოვბრუნდით. მოსახვევს რომ გავცდით, რეზოს ჩემთვის არც შემოუხედავს, ისე ჩაილუღლუღა:

— ეს რა ჩაიდინა შოთამ!

მართლაც რისთვის მიარტყა ჭიშკარს წიხლი?!

მაღაზიაში შესვენება უკვე დამთავრებულიყო. ლიმონათები ვიყიდეთ და შინისაკენ წამოვედით.

კიბე რომ ავიარეთ, რეზო შევაჩერე და ვთქვი:

— მე ჭიშკარს ხელით გავაღებ!

— მეც!—მეუბნება ის.

ოჰ, როდის გათენდება!

# მორიგეები

მე რეზო ვარ, გივის ბიძაშვილი.

გივი სულ ჩემზე გიყვებოდათ, თავისთავზე კი არაფერი უთქვამს. სამაგიეროდ მე გეტყვით!..

იმ დღეს გივი სულ არ იყო დამნაშავე და მასწავლებელმა მაინც დატუქსა, მაინც ჩემსავით დასაჯა, ორივემ უხეშად დაარღვიეთ მორიგეობის წესებიო!..

მე და გივი მორიგეები ვიყავით.

პირველმა დასვენებამ კარგად ჩაიარა, არც დიდ დასვენებაზე გაგვილია ვინმესთვის კარი. ისე ვიბღვირებოდით, ახლოს არავინ გვეკარებოდა.

მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ, ჩვენს წინ

რომ მზია ზის და ყველას კარნახობს, როგორლაც მაინც მოგვეპარა და შეგვეხვეწა:

— შემიშვით რა! წიგნი დამრჩა.

— წადი აქედან! — შევუტიე მე.

შეშინებული მზია მაშინვე უკან გაიქცა. აბა რა ეგონა! ჩვენ ნამდვილი მორიგეები ვართ! ცოტა ხნის შემდეგ ძალიან მომწყურდა.

— წყალი მინდა... — წავჩურჩულე გივის.

გივის ხმა არ ამოუღია, ალბათ, არ გაუგონია. მე კი ვერ ვისვენებ, პირი სულ გამიშრა. წყალი შორს, გრძელი დერეფნის თავშია. ველარ მოვითმინე და წასასვლელად გავიწიე.

— შენ ხომ მორიგე ხარ, არ წახვიდე! — შემაჩერა გაოცებულმა გივიმ და უფრო გაიჯიმა.

მე მაინც გავიქეცი. გივი კი მომდევს და ქამარში მექაჩება:

— წამოდი, წამოდი!

წყალი რომ დავლიე, ზარიც დაირეკა. კლასში დაფეთებულები შევცვივდით. ამხანაგები ფეხზე იდგნენ, მასწავლებელი მოღუშული ჩანდა თავის მაგიდასთან. მე და გივი კართან ავიტუზეთ და თავი დავხარეთ.

— აი, მორიგეები!.. — გავიგონეთ მასწავლებლის ნაწყენი ხმა.

ორივე ავტირდით, მაგრამ მასწავლებელმა მორიგეობიდან მაინც მოგვხსნა და სხვები დააყენა.

გივი ჩემი გულისთვის დაისაჯა, მაგრამ საყვედური მაინც არ უთქვამს. მე კი მრცხვენია და ვერ ვეუბნები, რომ ძალიან მაწუხებს ეს ამბავი.



# მეგობარი

ი. გრიშაშვილი

მეგობარი მიტომ მინდა,
დამეხმაროს გასაჭირში,
თუ კარგი ვარ—მიერთგულოს,
თუ ცუდი ვარ—მითხრას პირში.

ავად გავხდი... თვით ახლაც კი
სულ მახველებს, სულ მათრთოლებს:
გამოცდები ახლოვდება,
მე ჩამოვრჩი თანატოლებს.

გამოცდები ახლოვდება,
ვაი, რაღა მეშველება,
უნდა ტოლებს დავეწიო,
შორს წოლა და მესწვენება!

ვენაცვალე ჩემს რუსიკოს,
მოვიდა და ვიგრძენ შალა,
მომიტანა განვლილი თქმა
და ათასი სხვა მასალა.

დავჯექი და ვიმეორე
დღისით, ღამით, ცხადად, ძილში...
მეგობარი მიტომ მინდა,
დამეხმაროს გასაჭირში!

და რუსიკოს შემწეობით
მოვემზადე ისე კარგად,
ყველაფერი ალვიდგინე,
რაც ციებამ დამიკარგა.

მასწავლებელს ვეტყვი ახლა:
კარგადა ვარ ჯანზე, ფერზე,
გამოცდებზე მკითხეთ ბევრი,
გიპასუხებთ ყველაფერზე!



# მარიუკა

კალინ გრუია — ნახატი გ. ფოცხიშვილისა

დედამ წასვლისას მარიუკას დაუბარა:

— მე დილამდე ვერ დავბრუნდები, მამიდა ოანე ავად არის. ნიკუს მიხედე. დეიდა ლიზას ვთხოვე, რომ ამ საღამოს თქვენთან დარჩეს.

— არ გინდა, დედა,—შეეხვეწა მარიუკა,— მე არ მეშინია მარტო დარჩენისა.

— კარგი, შვილო! თუ მოგწყინდება, დეიდა ლიზას სთხოვე და მოირბენს.

კოკონამ კორაკზე აირბინა და იქიდან გადასძახა მმას, რომელიც ვაშლის ხის ძირას თამაშობდა:

— ნიკულიცუ, არა გშია?

— არა!

— გეშინია?

— არა...

მარიუკამ გადაწყვიტა, არავისთვის არ დაეძახა. იატაკის ქვეშ კრუხი და წიწილებია, იმათ ხიზნელის არ ეშინიათ. ლებუშა ძაღლსაც ხომ სულ მარტო ხმინავს სათივეზე.

— ლებუშა, ლებუშა!

ძაღლმა ხმა გაიგო თუ არა, მაშინვე მოირბინა. მარიუკამ პურის ნატეხი მისცა:

— სახლს უყარაულე, ლებუშა! არავინ შემოუშვა.

ლებუშამ სწრაფად გადასანსლა პური და კუდი გააქიცინა, თითქოს უთხრა, ყურადღებით ვიქნებიო, და თავის ადგილას წავიდა.

კედლის ხვრელში ჭრიჭინა ჭრიჭინებდა. დამურამ სახლზე გადაიფრინა. ბაღიდან მწუბექი ნიავი ქროდა. ცაზე აციმციმდნენ ვარსკვლავები. ეზოში უკვე ისე აღარ ბნელოდა.

სახლში კი?—შეწუხდა მარიუკა.

— ნიკუ, გეშინია?—ჰკითხა თავის პატარა ძმას.

— არა... როდის მოვა დედა?

— მოვა, მოვა, ნუ გეშინია. მოდი, მუხლებზე დამადე თავი და ზღაპარს გეტყვი.

— მხოლოდ კარგი ზღაპარი მითხრა!— და ნიკუმ თავი კალთაში ჩაუდო.

მარიუკამ ნელ-ნელა დაიწყო გულადი ბიჭის ზღაპარი. ნიკულიცემ უსმინა, უსმინა და ჩაეძინა.

რა ქნას მარიუკამ? ბამიკო სახლში ხომ უნდა შეიყვანოს... ხიზნელის რომ ეშინია?! იქნებ ვინმე საწოლქვეშ დამალული?

მარიუკამ ნიკულიცუს თავმალი მოახვია, თვითონ კი კარს მიუახლოვდა. კარი ჭრიალით გაიღო. მარიუკა თვალდახუჭული შევარდა ოთახში, კედელზე ღილაკი მოძებნა, სწრაფად აანთო ნათურა და მაშინვე საწოლის ქვეშ შეიხედა. იქ მხოლოდ ფეხსაცმელები ეწყო. მაგიდაც და სკამებიც იქვე ეწყო, როგორც იყო. მერე გარეთ გაბრუნდა, ნიკუ ხელში აიყვანა, ძლივს მიიყვანა საწოლამდე და საბანი დაახურა.

შემდეგ ძაღლს დაუძახა:

— ლებუშა, აქ მოდი!

ძაღლმა კუდი გააქიცინა და სახლში შევიდა.

მარიუკამ კარი ჩაკეტა. ლებუშამ ოთახი ყურადღებით მოათვალიერა და კართან მოიკეცა.

— ჩავაქროთ ნათურა, ლებუშა? ჩვენც ხომ უნდა დავიძინოთ?!

მარიუკამ ახანთი ბალიშქვეშ ამოდო, ნათურა ჩააქრო და ძმას გვერდით მიუწვა. ოთახში სიჩუმე ჩამოვარდა.

— ჭრი... ჭრი... ჭრი...—ისმოდა ჭრიჭინას ხმა.

ახლა შეიძლება მშვიდად იყოს. ლებუშა გულადი ძაღლია, მან ერთხელ მგელიც კი გააგდო. თან ჭრიჭინაც აქ არის, კრუხიც თავისი წიწილებით. მარიუკამ თვალები დახუჭა და ჩაეძინა.

— უილი-ყო-ო!—მოისმა ეორაკიდან. მარიუკას გაეღვიძა. უკვე გათენებულიყო, ნიკულიცუს ჯერ კიდევ ეძინა. ლებუშა კართან იდგა და უცდიდა მარიუკას გაღვიძებას... კოკონას გაეცინა, წამოხტა საწოლიდან და ლებუშა გარეთ გაუშვა.

თარგმანი რუმინულიდან ნ. თოფჩიშვილისა

# ჩეხოსლოვაკიაში

ეროვნული ბიბლიოთეკა



გ. ნიშნიანიძე

ნახატები გ. თოთიბაძისა

ამ ცოტა ხნის წინათ ჩეხოსლოვაკიაში ვიყავი და რაც ღირსშესანიშნავი ვნახე, მინდა თქვენც გიამბოთ.

უკრაინის ტრიალ სტეპს კივილით მიაპობდა ჩვენი ორთქლმავალი. მალე საბჭოთა კავშირის სახელმწიფო საზღვარიც გამოჩნდა. გაინტერესებთ, როგორია საზღვარი? მეც ძალიან მაინტერესებდა, მაგრამ განსაკუთრებული ვერაფერი შევნიშნე. მეგონა, თითქოს აგერ, კარის მეზობლის ღობეს გადავაბიჯე. ჩეხოსლოვაკიაშიც ხომ, როგორც საკუთარ სახლში, ისე ვგრძნობდით თავს.

სასაზღვრო ქალაქ ჩოფიდან საოცრად სწრაფი მატარებლით ქვეყნის შუაგულისკენ მოვკურცხლეთ.

აქ ელექტრომავალი არა ჰყავთ, მხოლოდ ორთქლმავალი დაჯირითობს აქეთ-იქით. ვაგონებში დასაწოლი ადგილების მაგივრად რბილი სავარძლებია და ვიდრე ძილი მოგვერეოდეთ, ორთქლმავალი უკვე თქვენს ქალაქში მიგაქროლებთ.

ავტობუსით ქალაქ გოტვალდოვოსკენ მივიჩქაროდით. გზაზე ორ სოფლელ ბიჭს წამოვეწიეთ, 10—11 წლისა იქნებოდნენ. ხელი აგვიწიეს და მანქანა შევაჩერეთ. რუსულად გამოგველაპარაკნენ. გაგვიკვირდა.

— ჩვენ 6 წლიდან ვიწყებთ სწავლას, მესამე კლასიდან კი სკოლაში რუსულ ენას გვასწავლიან,—გვითხრეს ბიჭუნებმა.

აი, ქალაქი გოტვალდოვოც. ვინ იცის, მსოფლიოში რამდენ ადამიანს ჩაუცვამს აქ დამზადებული ფეხსაცმელი.

უზარმაზარი კომბინატის შესასვლელთან ვკითხულობთ ყველასათვის ნაცნობ წარწერას: „სვიტ".

აბა, შენი ლამაზი ჩეხური ფეხსაცმლის ლანჩს დახედე! ზედ „სვიტ"-ი აწერია. აი, სწორედ ამ ქალაქიდან მოდის ჩეხური ფეხსაცმელი. ალბათ, მთელ დედამიწის ზურგზე არ მოიძებნება ფეხსაცმლის უფრო დიდი კომბინატი.

მერე ის ქარხანაც მოვინახულეთ, სადაც ავტომობილი „შკოდა" მზადდება.

შემდეგ კი ამ ქარხნის პირმშომ — „შკოდამ“ ქალაქ კარლოვი ვარამდე მიგვაცილა. ეს ჩეხოსლოვაკიის „ბორჯომია“, სადაც „უკდავების“ წყლები ამოჩქეფენ.

კარლოვი ვარსა და თბილისს თითქმის ერთნაირი ისტორია ჰქონია. მეფე კარლოს მეხუთეც ნადირობისას ერთ უმშვენიერეს ადგილას თბილ წყლებს წააწყდა თურმე და ბრძანა, აქ ქალაქი ააშენეთო. აი, ასე გაჩნდა კარლოვი ვარი.

ზღაპრები, ალბათ, ბევრი მოგისმენიათ, მაგრამ არასოდეს ყოფილხართ იმ ადგილებში, სადაც გადმოცემით ამ ზღაპრების ცხრათავიანი დევები, ლამაზი მზეთუნახავები და ავი სულები ბუდობენ. ჰოდა, სწორედ ასეთ ზღაპრულ სამყაროში მოვხვდით, როცა მორავიის გამოქვაბულში მიგვიყვანეს.

პატარა ხიდზე ვდგავარ და თავბრუ მესხმის. ქვევით თვალუწვდენი უფსკრულია. აქაურობას „მაცოხას“ ეძახიან, რაც ქართულად „დედინაცვალს“ ნიშნავს.

მახლობელ სოფელში თურმე ერთი გლეხი ცხოვრობდა თავისი ბიჭით. ბავშვს დედა არ ჰყავდა და მამამ შინ დედინაცვალი მიუყვანა. ავმა ქალმა პატარა ბიჭი ტყეში გაიტყუა და უშველებელი კლდიდან გადააგდო, ქმარს კი ამბავი დაახვედრა, ბავშვი დაიკარგაო.

შეშინებული მამა გარეთ გავარდა. უცბად კლდეზე ბავშვის ტირილი შემოესმა. საწყალი ბიჭი პერანგით ბუჩქს გამოსდებოდა და რაღაც სასწაულით გადარჩენილიყო. მამამ შვილი სახლში წაიყვანა, ბოროტი ქალი კი სწორედ ამ კლდიდან გადააგდო. ამიტომ დაარქვეს ამ ადგილს „დედინაცვალი“.

ზლატა პრაღას – ოქროს პრაღას ეძახიან პრაღელები თავიანთ დედაქალაქს. შეხედავ მდინარე ვლტავას, რომელიც ქალაქს შუაზე ჭრის და გაგახსენდება მტკვარი; შეხედავ მაღალ მთაზე დიდებულ ტყე-პარკს — ბარანდოვკას და თვალწინ გიდგას ფუნიკულორის პლატო; ახვალ ციხე-სიმაგრე გრადჩანზე და ნარიყალა მოგაგონდება.

მდინარე ვლტავას გასწვრივ 13-ჯერ ართმევს ხელს ერთმანეთს ქალაქის ორი სანაპირო. ცამეტი ხიდის ქვეშ დასრიალებენ სამდინარო ტრამვაები, პატარა გემები, კატერები, დაცურავენ გედები და გოგო-ბიჭები. უფრო პატარებს კი ნაპირთანაც საყოფად, როგორც იტყვიან, „ყელამდე“ აქვთ წყალი.

ვათვალიერებთ ძველსა და ახალ პრაღას... ცენტრში, პრაღის რატუშასთან მუდამ თავს იყრიან პრაღელებიცა და უცხოელებიც. არავის სწყინდება ამ 450 წლის „ბებერი“ საკვირველების ცქერა.

ჩვენც, რა თქმა უნდა, გავჩერდით.



ეროვნული ბიბლიოთეკა

მაღალი რატუშის კოშკზე ვეებერთელა საათმა სამჯერ ჩამოჰკრა. საათის ორივე მხარეს გაქვავებული პატარა ქანდაკებები „გაცოცხლდნენ“ და მასწავლებელ იან განუშის სცენა—„მდიდარი და სიკვდილი“ გაითამაშეს. ისინი დაობენ, რომელი უფრო ძლიერია, სიმდიდრე თუ სიკვდილი. არის ერთი წიოკობა, ჩხუბი, ვიდრე პატარა სარკმლიდან ოქროსდეზებიანი მამალი არ გამოჰყოფს თავს და სამჯერ არ დაიძახებს: კუ-კუ, კუ-კუ, კუ-კუ! სარკმლის დახურვისთანავე ქანდაკებები თავიანთ ადგილს იკავებენ და კვლავ ერთ ადგილზე იყინებიან.

არის კიდევ ერთი ადგილი, სადაც მუდამ დიდძალი ხალხი ჩერდება; ეს სახალხო სახლია. წინა კედელზე ბარელიეფია გამოყვანილი, რომელზეც მაშინვე იცნობთ დიდი ადამიანის ლენინის სახეს.

„1912 წლის იანვარში აქ ჩატარდა რუსი ბოლშევიკების პრაღის კონფერენცია, რომელსაც ხელმძღვანელობდა ვ. ი. ლენინი“,—ვკითხულობთ წარწერას ჩეხურ და რუსულ ენებზე.

სახალხო სახლში ერთ-ერთ დარბაზს ლენინის დარბაზი ჰქვია. აქ ასეთი ტრადიცია ჰქონიათ: ლენინის დარბაზში ხდება პიონერული ნათლობა, პატარა ლენინელებს ამ დარბაზში პირველად უკეთებენ ალისფერ ყელსახვევს!

ჩვენც შევესწარით ერთ-ერთ ასეთ საზეიმო შეკრებას. შემდეგ ბავშვებთან ერთად ქალაქგარეთ—ვრშოვიცეს პიონერთა ბანაკში გავემგზავრეთ.

გოგონებს ბალ-მასკარადისათვის კოსტუმების შეკერვა დაუმთავრებიათ, მინდორში სუფრაა გაწყობილი. აქაურ ბავშვებსაც ჩინებული მასპინძლობა სცოდნიათ! გვეკითხებიან თავიანთ საბჭოთა მეგობრებზე, გვიძღვნიან თაიგულებს.

შემდეგ გამოგვაცილეს და დიდი მოკითხვა დაგვაბარეს თქვენთან.



ეროვნული ბიბლიოთეკა



# დათვი და ჭიანჭველა

ჯ. ინჯია

ჭიანჭველას შვილებისათვის საჭმელი მიჰქონდა. გზაზე დათვი შემოხვდა.

— ფეხი არ დამადგა, იქით გაიარე! — დაუყვირა ჭიანჭველამ.

დათვმა ძლივს დაინახა პატარა მწერი და გაეცინა.

— რას დამცინი, მე შენზე ღონიერი ვარ! —გული მოუვიდა ჭიანჭველას.—გინდა გავეჯიბროთ? მე ჩემზე ოთხჯერ დიდ ბარგს ავიკიდებ, შენც შენზე ოთხჯერ დიდი ბარგი აიკიდე. ვნახოთ, ვინ აჯობებს!

მალე ჭიანჭველამ ხორბლის ოთხი დიდი მარცვალი აიკიდა და წაათრია. დათვს კი ოთხი დიდი კუნძი უნდა მოეგდო ზურგზე, მაგრამ, ცხადია, ვერ მოერია. დათვი გაბრაზდა და ჭიანჭველას გამოეკიდა. მაშინ ჭიანჭველამ უთხრა:

— იმ მაღალ ალვის ხეზე ამოხვალ?

— ამოვალ,—უპასუხა დათვმა.

დათვი აბობღდა და ჭიანჭველაც აცოცდა ხეზე. ორივენი კენწეროში მოექცნენ.

— აბა, აქედან თუ გადახტები,—უთხრა ჭიანჭველამ და გადახტა. დათვმაც ისკუპა, მაგრამ ძირს ჩამოვარდა თუ არა, კვახივით გასკდა.

ნახატები ა. კანდელაკისა





მხატვარი კ. იოდიკაისიო



# ლიტვური ზღაპარი
# გუგული

იყო და არა იყო რა, ლიტვაში იყო მდიდარი თავადი—ერთი ქალისა და სამი ვაჟის მამა. დას გაგიჟებით უყვარდა ძმები, თავზე ევლებოდა, ლამაზ ყელსახვევებს, თვალისმომჭრელ ბაფთებსა და მაქმანებს უქსოვდა.

მაგრამ ხანმოკლე გამოდგა მათი ბედნიერება.

ერთ მშვენიერ გაზაფხულს გერმანელები შემოესიენ ლიტვას; მუსრს ავლებდნენ მოხუცებს, დედებს ძუძუდან გლეჯდნენ ბავშვებს, ცეცხლითა და მახვილით ანადგურებდნენ ყველაფერს.



და აი, ლიტველმა მთავარმა კიასტუტისმა ქუდზე კაცს უხმო. დაჰკრეს ბუკსა და ნაღარას, იელვეს ხმლებმა და ყოველი მხრიდან მოზღვავდნენ ლიტველი მამაცი ვაჟკაცები გერმანელებთან საბრძოლველად.

სამ ძმას ესმა ბუკ-ნაღარის ხმა. შეიარაღდნენ მაშინვე, მოახტნენ დარახტულ ბედაურებს და გაჭქუსლეს საომრად.

დამ გზა დაულოცა ძმებს, მშვიდობით დაბრუნება უსურვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



— დამთავრდა ომი. ლიტველებმა დაამარცხეს გერმანელები. ბევრი გულადი მეომარი დაბრუნდა შინ. დიდხანს უცდიდა და ძმებს, სულ იმ გზას გასცქეროდა, სადაც თავიანთი ბედაურები უკანასკნელად გააგელვეს მათ. მაგრამ ამაოდ ელოდა საწყალი. სამივე ძმა დაეცა ბრძოლის ველზე. მათი დამფრთხალი ბედაურები დაბრუნდნენ მხოლოდ.

მწარედ მოთქვამდა ყმაწვილი ქალი ძმების დაღუპვას და ტყე-ველს ცხარე ცრემლებით რწყავდა.

ამბობენ, გუგულად იქცა საბრალო ქალი და მას მერე, გაზაფხულზე, სწორედ იმ დროს, როცა ძმები დაეღუპნენ, გუგუს ძახილით მათ დასტირისო!

თარგმანი მ. ქარჩავახი



8010

# ფერადი-ფერადი

## კნუტი და ქუდი

რახაც ჩვენი კნუტი ხნადის,
ხახალისოდ კნავის;
მზიდლიად ხზვიხი ქუდი უკვირს,
თავისი კი — არა.

ვერ ჩაუყვლის ვერც მურია,
ვერც მეზობლის კნუტი,
რომ ქლანჭით არ დაუკაწროს
მათ დაფუჭი ქუდი.

მოდი, უთხარ ამ კნუტს რამე,
ნებივრს და მხუკანს:
ხხვის ქუდებს რომ უთვალთვალებს,
დაიხედოს უკან!

ჯ. ბელოკანი



## რა კარგია

რა კარგია, რა კარგი
ჩემი სოფლის ბუნება,
ღელემ ჩუმი რაკრაკით
იწყო აბუბუნება.
გაიხარეს ღიღებმა,
გაიხარეს ბავშვებმა.
მზეც სიცილით ხანდახან
ღრუბლებს ეთამაშება.

თ. მათიაშვილი

## მამალი

ფრთახატულა,
ფაფხურა,
დუზიანო მამალო,
ცაზე ქორი დაფრინავს,
ხომ არ გინდა დაგმალო?

ევ. ქარდიანი



## მამალი და ფერადი

3. სეგეეი

ვიღაცმა მამალი დახატა, გაფერადება კი დაავიწყდა.
ერთ დღეს მამალი ხახარიდ გაუშურა.
— რატომ გამოხუდიხარ გაუფერადებელი? — გაუკვირდა მურიას.
მამალმა ჩაიხედა წყალში და დაინახა, რომ მურია მართალი იყო.
— გული არ გაიტეხო, ფერად ხალებავებს ხახოვე და გაგაფერადებენ! — უთხრა მურიამ.
მამალი ფერად ხალებავებს მიადგა და შეახვეწა:





## აშენებენ

გაზაფხული არის,
არც თუ ისე ცივა,
მუშაობენ მარდად
მამუკა და ცირა.
ბლომად არის ქვიშა,
ნაფოტები ფიცრის,
განზრახული მათი
ჯერ არავინ იცის.
საიდუმლოს მათსას
თვითონ საქმე ამხელს:
ქურის გაყოლებით
აშენებენ სახლებს!

ზ. ჭურაზაშვილი



## სალებავები

ნახატები ა. კანდელაკისა

— ფერად-ფერადო სალებავებო, მიშველეთ რამე!
— კი ვეცდებით, — მიუგო წითელმა სალებავმა და მამალს წითლად შეუღება. ლურჯმა სალებავმა კუდის ბუმბული გაუფერადა, მწვანემ — ფრთები, ყვითელმა — გულ-მკერდი.
— აი, ახლა კი ნამდვილი მამალი ხარ! — უთხრა მურიამ.
ბატარავ, ეს მამალი კი შენ თვითონ გადახატე და გააფერადე. არ დაგავიწყდეს წინწილის გაფერადებაც — ის ხომ ყვითელია.

თარგმნა თ. ახალაიამ



# გამოცანები






მგზავრი მიდის თოვლისფერი,
წინ გზა უდევს ყორნისფერი.

სკოლაში ერთად დავდივართ
და სახლშიც ერთად ვბრუნდებით,
ზარმაცი მკვებავს ორებით,
ბეჯითი მავსებს ხუთებით.

გ. ჭიჭინაძე

## ჩემი ცხენი

მითხარ, ჩემი ცხენი
რად არ მოგწონს, დილო?
ბაბუს ცხენს ხომ სჭირდება, —
არ სჭირდება ნალი!

გ. ხაჯთაძე




ჟურნ. მთავარი რედაქტორი ბ. ჟორჟიშვილი

სარედაქციო კოლეგია: ... (რედაქტორის მოადგილე) ... (სამხატვრო რედაქტორი)

ხელმოწერილია დასაბეჭდად 4/IV 1960 წ.

ДИЛА — ежемесячный детский журнал ЦК ЛКСМ Грузии и Республиканского совета организации юных пионеров им. В. И. Ленина.
№ 5, май 1960 г. Тбилиси, Просп. Плеханова 91.

6. 36/126

ეროვნული ბიბლიოთეკა







# ჟურნალ „დილას“ რედაქციას!



ჩვენთან მაისის ლამაზი დღეებია. აყვავდა ხეხილი, გაიშალა ვარდი და იასამანი.

გულით გვინდოდა თქვენთვისაც ცოცხალი ყვავილები გამოგვეგზავნა, მაგრამ ვერ მოვახერხეთ. ამიტომ გიგზავნით ჩვენი ხელით დახატულ ყვავილებს. გთხოვთ, სალამი გადასცეთ და გაზაფხული მიულოცოთ ჩვენს თანატოლ მეგობრებს.

**ქარელის საბავშვო ბაღის საშუალო ჯგუფის აღსაზრდელები.**

